

# შპს „ევროპული სკოლა“ აცხადებს ვაკანსიას დაცვის თანამშრომლის თანამდებობაზე

სკოლის შესახებ:

ევროპული სკოლა არის საერთაშორისო CIS აკრედიტებული სკოლა, რომელიც სთავაზობს თავის მოსწავლეებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებს - საბავშვო ბაღი, ქართული პროგრამა, IB (PYP / MYP / DP) და ამერიკული უმაღლესი სკოლა.

**თანამდებობის მიზანი:** ევროპული სკოლის მთელ ტერიტორიაზე არსებული ობიექტებისა და ქონების, მომსახურე პერსონალის, მოსწავლეების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან; სკოლის ტერიტორიაზე შინაგანაწესის, წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ფუნქცია-მოვალეობები:

- სკოლის მთელ ტერიტორიაზე წესრიგისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა; ნებისმიერი პრობლემის შემთხვევაში დროული რეაგირება;
- სკოლის საკუთრებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ფასულობების, სკოლის ინფრასტურებულისა და ღირებული ინვენტარის დაცვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან;
- სასამართლო რეეგიმის კონტროლი; სკოლის ტერიტორიაზე შემოსულ და გასულ პირთა, ასევე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის აღრიცხვა და კონტროლი;
- სკოლის პერიმეტრსა და სკოლაში განლაგებული კამერების მუდმივი კონტროლი და ყოველ სამ საათში მასალის შემოწმება;
- დაგვიანებული მოსწავლეებისა და თანამშრომლების აღრიცხვა-რეგისტრაცია;
- სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მოსწავლეების მიერ სკოლის დატოვების აღრიცხვა;
- სასწავლო პროცესის დროს მოსწავლეების მიერ სკოლის უნებრატვოდ დატოვების კონტროლი;
- მოსწავლეთა ყოფაქცევისა და ჩაცმულობის კონტროლი სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად;
- შესვენების დროს სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლეთა გადაადგილების კონტროლი და წესრიგის დაცვა;
- სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლეების უსაფრთხოებაზე ზრუნვა; პერიოდულად მოსწავლეების საკუთრებაში არსებული ნივთების შემოწმება უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით;
- კომპტენციის ფარგლებში უშუალოდ უფროსის სხვა დავალებების შესრულება;

კვალიფიკაცია:

განათლება

- საშუალო განათლება

გამოცდილება

- მსგავს პოზიციაზე მუშაობის 1 წლიანი გამოცდილება;

ცოდნა, უნარები და შესაძლებლობები:

- სკოლაში უსაფრთხოების დაცვის წესები;
- ბავშვის უფლებათა კონვენცია;
- სკოლის შინაგანაწესი;
- შიდასამართლებრივი აქტები;
- ფიზიკური მომზადება.

პიროვნული მახასიათებლები:

- პასუხისმგებლობის გრძნობა;

- პუნქტუალურობა;
- ყურადღებიანობა;
- დეტალებზე ორიენტირებულობა;
- ინსტრუქციების, პროცედურების დაცვის უნარი.

დაინტერესების შემთხვევაში, გამოაგზავნეთ თქვენი რეზიუმე (CV) ელექტრონული ფოსტის მისამართზე: [vacancy@europeanschool.ge](mailto:vacancy@europeanschool.ge) 2022 წლის 30 ივლისამდე

გთხოვთ, ელექტრონული წერილის თემის ველში მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი რეზიუმე არ განიხილება.

აღნიშნულ ვაკანსიაზე მონაცემების გაზიარებით ადასტურებთ, რომ თანახმა ხართ, კომპანიამ “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის” ფარგლებში შეაგროვოს, დაამუშავოს და შეინახოს წარდგენილი ინფორმაცია (cv) თქვენი დასაქმებისთვის საჭირო პროცედურების წარმართვის მიზნით. პერსონალური მონაცემები გამოყენებული იქნება მხოლოდ აღნიშნული მიზნისთვის და თქვენი თანხმობის გარეშე არ გადაუცემა მესამე პირს.